ხელშეკრულება № 10

ქ.თბილისი " 28 " მარტი 2015წ.

სსიპ ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის ანდრო ბედუკაძის სახით,შემდგომში "დამკვეთი" ერთის მხრივ, და იაგო თადიაურის (პ/ნ 31001018624) სახით,შემდგომში "შემსრულებელი" მეორეს მხრივ, ვსარგებლობთ რა საქართველოს კანონმდებლობით,
შევთანხმდით:

1.ხელშეკრულების საგანი
1.1. დამკვეთი ავალებს შემსრულებელი კი ვალდებულებას იღებს დამკვეთისათვის შეასრულოს სამუშაო, კერძოდ სოფ.წიწამურში ილია ჭავჭავაძის ძეგლის მოვლა-გასუფთავება,ნარგავების მორწყვა და დარაჯობა. *CPV* კოდი (90511300)
2. სამუშაოს მიზანი
2.1. სამუშაოს მიზანია წიწამურში ძეგლის მოვლა-დასუფთავება.

3. სამუშაოს შესრულება
3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო უნდა შესრულდეს ყოველდღიურად 2015 წლის 31 დეკემბრამდე
3.2. სამუშაოს დასრულება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.აქტზე მხარეების ხელმოწერა ადასტურებს შემსრულებლის მიერ სამუშაოს შესრულებასა და დამკვეთის მიერ შესრულებული სამუშაოს მიღებას.

4. ვადები
4.1. სამუშაოს შესრულების ვადაა 1 წელი ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან.
4.2.სამუშაოს შესრულების გაწევის ვადა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით.

5. ღირებულება.ანგარიშსწორების წესი
5.1. სამუშაოს ღირებულებაა 250 (ორასორმოცდაათი) ლარი თვეში დღგ-ის ჩაუთვლელად და საშემოსავლოს დაქვითვით. (მათ შორის იანვარი-თებერვალი და მარტის თვეები).

5.2. ანგარიშსწორება შეიძლება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6. შემსრულებლის უფლებები და ვალდებულებები
6.1. შემსრულებელი ვალდებულია:

6.1.1. უზრუნველყოს სამუშაოს შესრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებითა და ვადებში;

6.2. შემსრულებელს უფლება აქვს:
6.2.1. მოთხოვოს დამკვეთს სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელი მასალები.

7. დამკვეთის უფლებები და მოვალეობები
7.1. დამკვეთი ვალდებულია:
7.1.1. დროულად მოახდინოს ანგარიშსწორება
7.2. დამკვეთს უფლება აქვს:
7.2.1. მოთხოვოს შემსრულებელს,ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.
7.2.2. საჭიროების შემთხვევაში,შეამოწმოს პირადად სამუშაოს ხარისხი.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა
8.1. შემსრულებლის პასუხისმგებლობა:
8.1.1. სამუშაოს შესრულების,ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის,შემსრულებელი დამკვეთს პირგასამტეხ-ლოს სახით გადაუხდის სამუშაოს სახელშეკრულებო ღირებულების 5% ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის.
8.1.2.ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს უხარისხოდ შესრულებისათვის,შემსრულებელი დამკვეთს პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის სამუშაოს სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ს.
8.2. დამკვეთის პასუხისმგებლობა:
8.2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადე-ბის დარღვევისათვის დამკვეთი შემსრულებელს,პირგასამტეხლოს სახითგადაუხდის სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის.
8.3. პირგასამტეხლოსა და ჯარიმის გადახდა/არ ანთავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.სამუშაოს ხარისხი
9.1. სამუშაოს ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

10. ფორსმაჟორი

10.1. არცერთი მხარე არ აგებს პასუხს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათ-ვის,თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია სტიქიური და ტექნოლოგიური კატასტროფებით,თუე ს მოვლენები დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.
10.2. მხარე,რომელსაც წამოეჭრა დაუძლეველი ძალის გარემოება, ვალდებულია ასეთი გარემოების, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და შეწყვეტის შესახებ შეატყობინოს წერილობით მეორე მხარეს.
10.3. არ შეტყობინება ან დაგვიანებით შეტყობინება უფლებას ართმევს მხარეს გამოიყენოს ზემოთ მოყვანილი დაუძლეველი ძალის მოვლენებიპასუხისმგებლობიდან განთავისუფლების საფუძვლად.

11. პრეტენზიები
11.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული პრეტენზიები მხარეებმა ერთმანეთს უნდა წაუყენონ 1 თვის ვადაში პრეტენზიის საფუძვლის წარმოქმნის დღიდან.

12. დავის გადაწყვეტა
12.1. მხარეები ეცდებიან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავში-რებული ყველა დავა გადაჭრან მოლაპარაკების გზით.
12.2. თუ ეს არ მოხერხდება,მხარეები მიმართავენ არბიტრაჟს ან სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

13. ხელშეკრულების შეცვლა. ცალმხრივად შეწყვეტა
13.1. ხელშეკრულების შეცვლა და მასში პუნქტების დამატება დაიშვება მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით.
13.2. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა დაუშვებელია.

14. მხარეების მისამართები და ხელმოწერები

დამკვეთი	შემსრულებელი
ა.ბედუკაძე	ი.ოანდიაური
	პ/ნ 31001018624
მისამართი:	მისამართი:
მცხეთა სოფ.საგურამო	მცხეთა
	სოფ.წიწამური